20.05.2024

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში

2024 წლის აპრილი

ძირითადი შედეგები

- **მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.8 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 2.0 პროცენტით;

- **სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი** წინა თვესთან შედარებით შემცირდა 1.2 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 0.8 პროცენტით;

- **მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 3.8 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით 7.2 პროცენტით.

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები



20.05.2024

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე **წინა თვესთან შედარებით** გაიზარდა 0.8 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასების 4.0 პროცენტით ზრდა დაფიქსირდა საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე, ხოლო დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 0.7 პროცენტით. ამასთან, სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 0.1 პროცენტით, ხოლო წყლის ტრანსპორტის მომსახურებაზე ფასები შემცირდა 1.4 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაიზარდა 2.0 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასების ზრდა დაფიქსირდა საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 7.9 პროცენტით, ხოლო დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 6.0 პროცენტით. ამასთან, სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 2.0 პროცენტით, ხოლო წყლის ტრანსპორტის მომსახურებაზე ფასები შემცირდა 39.9 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2024 წლის აპრილში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2023 წლის აპრილთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
H	**სულ**	**102.0**	**1.95**
49	სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება	102.0	1.59
50	წყლის ტრანსპორტის მომსახურება	60.1	-1.17
51	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	107.9	1.40
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება	106.0	0.13

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.05.2024

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ჯამური ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** შემცირდა 1.2 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 8.2 პროცენტით, ხოლო სადენიანი და უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები უცვლელია.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ჯამური ინდექსი შემცირდა 0.8 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 5.1 პროცენტით. ამასთან, უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 0.2 პროცენტით, ხოლო სადენიან სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე 0.1 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2024 წლის აპრილში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2023 წლის აპრილთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
J	**სულ**	**99.2**	**-0.85**
61.1	სადენიანი სატელეკომუნიკაციო მომსახურება	100.1	0.07
61.2	უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	100.2	0.07
61.9	სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება	94.9	-0.98

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.05.2024

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე **წინა თვესთან შედარებით** გაიზარდა 3.8 პროცენტით. ფასების ზრდა დაფიქსირდა დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 8.2 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე 0.1 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ჯამური ინდექსი გაზრდილია 7.2 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურების ფასები გაიზარდა 7.9 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფასები 7.0 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2024 წლის აპრილში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2023 წლის აპრილთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
I	**სულ**	**107.2**	**7.15**
55	მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით	107.9	3.58
56	მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით	107.0	3.57

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი. ტელ: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge